

ისტ-ის ზოგადი უნარების სტანდარტი

მიმართულება	შედეგი	დონე I: მიღწევადია II კლასის ბოლოს	დონე II: მიღწევადია IV კლასის ბოლოს	დონე III: მიღწევადია VI კლასის ბოლოს	დონე IV: მიღწევადია VIII კლასის ბოლოს	დონე V: მიღწევადია X კლასის ბოლოს	დონე VI: მიღწევადია XII კლასის ბოლოს
<p>1. სოციალური, ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვა ისტ-ის გამოყენების დროს - ციფრული მოქალაქეობა</p>	<p>1.1. შეიგნოს ინტელექტუალურ საკუთრებას</p>	<p>აცნობიერებს საკუთრების უფლებას მის შექმნილ ციფრულ ნამუშევარზე</p>	<p>აცნობიერებს საკუთრების უფლებას ციფრულ ნამუშევარზე, იაზრებს მისი გამოყენების სწორ და არასწორ შესაძლებლობებს</p>	<p>აღიარებს, როდესაც იყენებს სხვის შექმნილ ციფრულ ნამუშევარს/პროდუქტს და ასახელებს წყაროს</p>	<p>ამოიცნობს ციფრული ნამუშევრის/პროდუქტის საკუთრებისა და გამოყენების სამართლებრივ ვალდებულებებს</p>	<p>პრაქტიკაში ავლენს ისეთ უნარ-ჩვევებს, რაც შესაბამისობაშია ციფრული პროდუქტების საკუთრებისა და გამოყენების სამართლებრივ ვალდებულებებთან</p>	<p>ამოიცნობს და აღწერს ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს, გაცნობიერებულად იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას</p>
	<p>1.2. იცავს და უსაფრთხოდ იყენებს ციფრულ ინფორმაციას</p>	<p>იცავს სასკოლო/საკლასო წესებს ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ და ახდენს მარტივი სოციალური ნორმების ცოდნის დემონსტრირებას ნაცნობ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას</p>	<p>აცნობიერებს სასკოლო/საკლასო წესებს ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ, ახდენს სოციალური ნორმების ცოდნის დემონსტრირებას ნაცნობ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას</p>	<p>აყალიბებს ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოდ გამოყენების წესებს მასწავლებლის დახმარებით და ახდენს შესაბამისი სოციალური ნორმების ცოდნის დემონსტრირებას, სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისას</p>	<p>აფასებს ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოებას მისი ადგილმდებარეობის მიხედვით. ავითარებს ინფორმაციის დაცვის სტრატეგიებს და ახდენს ზოგადი სოციალური ნორმების ცოდნის დემონსტრირებას, ნაცნობ ან უცნობ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას</p>	<p>დამოუკიდებლად აყალიბებს ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის ადეკვატურ სტრატეგიებს. ინფორმაციის გაზიარებისას ახდენს ზოგადი სოციალური ნორმების ცოდნის დემონსტრირებას, განასხვავებს სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ კონტექსტს</p>	<p>იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვისთვის. აცნობიერებს ონლაინ გარემოსთან დაკავშირებულ რისკებს და იმუშავებს დაცვის შესაბამის სტრატეგიებს, მხედველობაში იღებს საზოგადოებაში მოქმედ ეთიკის ნორმებს</p>
	<p>1.3. აცნობიერებს ისტ-ის გავლენას საზოგადოებაზე</p>	<p>იცის როგორ გამოიყენება ისტ-ი სკოლასა და სახლში</p>	<p>აცნობიერებს ისტ-ის ღირებულებასა და როლს სკოლასა და სახლში</p>	<p>ავლენს დადებით დამოკიდებულებას ისტ-ის მრავალმხრივი გამოყენების მიმართ სკოლაში, სახლსა და თემში</p>	<p>აცნობიერებს ისტ-ის გამოყენებას ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მის პოზიტიურ და ნეგატიურ ზემოქმედებას</p>	<p>განმარტავს ისტ-ის გამოყენების სარგებელს და რისკებს სახლსა და სამუშაო გარემოში</p>	<p>აცნობიერებს ისტ-ის გავლენას საზოგადოებაზე. აფასებს მის როლს და დანიშნულებას</p>
<p>2. ისტ-ის ეფექტიანი გამოყენება</p>	<p>2.1. აცნობიერებს ტექნიკური უზრუნველყოფის დანიშნულებას, შეარჩევს და უსაფრთხოდ იყენებს მას</p>	<p>აცნობიერებს ზოგიერთი ციფრული მოწყობილობის დანიშნულებას და ახდენს მათი უსაფრთხოდ გამოყენების დემონსტრირებას</p>	<p>აცნობიერებს სხვადასხვა ციფრული მოწყობილობის დანიშნულებას, ასახელებს მათ ფუნქციებს და იყენებს უსაფრთხოდ.</p>	<p>ამოიცნობს, ადარებს და აჯგუფებს ციფრულ მოწყობილობებს. მათი გამოყენებისას მხედველობაში იღებს ერგონომიკას</p>	<p>ირჩევს და უსაფრთხოდ იყენებს სხვადასხვა ციფრულ მოწყობილობას ამოცანების გადასაწყვეტად.</p>	<p>დამოუკიდებლად ირჩევს და უსაფრთხოდ იყენებს სხვადასხვა ციფრულ მოწყობილობას მათი ფუნქციების გათვალისწინებით.</p>	<p>კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად ზუსტად შეარჩევს შესაბამის ციფრულ მოწყობილობას და იყენებს უსაფრთხოდ</p>
	<p>2.2. აცნობიერებს პროგრამული უზრუნველყოფის დანიშნულებას, შეარჩევს და უსაფრთხოდ იყენებს მას</p>	<p>იცის ზოგიერთი გამოყენებითი პროგრამის დანიშნულება, ფლობს მასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და ოპერაციებს</p>	<p>აცნობიერებს ზოგიერთი გამოყენებითი პროგრამის დანიშნულებას. მათთან მუშაობისას იყენებს ძირითად ბრძანებებს და ფუნქციებს</p>	<p>აცნობიერებს ზოგიერთი გამოყენებითი პროგრამის დანიშნულებას და იყენებს მათ</p>	<p>ამოცანიდან გამომდინარე ირჩევს და იყენებს შესაბამის გამოყენებით პროგრამებს, ცვლის სხვადასხვა ციფრული მოწყობილობის პარამეტრებს</p>	<p>ამოცანიდან გამომდინარე იყენებს როგორც გამოყენებით პროგრამებს, ისე ღრუბლოვანი გამოთვლით სისტემებს</p>	<p>ამოცანის გადაწყვეტისას ირჩევს ოპტიმალურ გზას, უსაფრთხოდ იყენებს გამოყენებით და სისტემურ პროგრამებს, ღრუბლოვანი გამოთვლით სისტემებს და ა.შ.</p>
	<p>2.3. უსაფრთხოდ ინახავს ციფრულ ინფორმაციას</p>	<p>ინახავს ციფრულ ინფორმაციას სხვისი დახმარებით</p>	<p>ინახავს ციფრულ ინფორმაციას დამოუკიდებლად, ინფორმაციის შესანახად იყენებს სისტემურ საქაღალდეებს</p>	<p>ორგანიზებულად ინახავს ციფრულ ინფორმაციას სხვადასხვა მატარებელზე</p>	<p>ორგანიზებულად ინახავს ციფრულ ინფორმაციას სხვადასხვა ფორმატში, იყენებს სხვადასხვა ხერხს</p>	<p>ორგანიზებულად ინახავს ციფრულ ინფორმაციას მომხმარებელთა ჯგუფებისთვის, სხვადასხვა სისტემების გამოყენებით</p>	<p>ორგანიზებულად და უსაფრთხოდ ინახავს/აზიარებს ციფრულ ინფორმაციას სხვადასხვა სისტემისა და მეთოდის გამოყენებით</p>

3. კვლევა ისტ-ის გამოყენებით

<p>3.1. იყენებს ისტ-ს კვლევის დასაგეგმად</p>	<p>იყენებს სასწავლო რესურსს და ირჩევს მონაცემებზე დაკვირვების ფორმას</p>	<p>იყენებს ისტ-ს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოსაჩენად, თუ რა არის უკვე ცნობილი და რა საჭიროებს კვლევას</p>	<p>იყენებს სხვადასხვა ისტ საშუალებას ინფორმაციათა სიმრავლიდან საკვლევი ინფორმაციის მკაფიოდ წარმოსაჩენად</p>	<p>იყენებს ისტ-ს მოსაძიებელი ინფორმაციის დასახარისხებლად</p>	<p>იყენებს სხვადასხვა ისტ საშუალებას, ბუნდოვანი საკითხებისა და სტრუქტურების გამოსაკვეთად, ინფორმაციის ძიების დასაგეგმად ან დასახარისხებლად</p>	<p>როგორც დამოუკიდებლად ისე თანამშრომლობით ირჩევს და იყენებს სხვადასხვა ისტ საშუალებას კვლევითი კითხვების ჩამოსაყალიბებლად, საძიებო სტრატეგიების დასაგეგმად და მონაცემთა დასახარისხებლად</p>
<p>3.2. მოიძიებს და ახარისხებს საჭირო ინფორმაციას</p>	<p>საჭირო ინფორმაციის მისაგნებად პროგრამებში ირჩევს სხვადასხვა პიქტოგრამებს</p>	<p>ემებს ინფორმაციას მოცემული ციფრული რესურსიდან</p>	<p>ემებს ინფორმაციას სხვადასხვა ციფრული რესურსიდან, ლებულობს და ახარისხებს მას</p>	<p>საზღვრავს საჭირო ინფორმაციის ტიპს, ლებულობს ინფორმაციას საძიებო სისტემების გამოყენებით და ახარისხებს მას</p>	<p>ემებს ინფორმაციას საძიებო სისტემების მეშვეობით, შეარჩევს ძიების კრიტერიუმებს. ახარისხებს და ორგანიზებას უკეთებს მოძიებულ ინფორმაციას</p>	<p>იყენებს საძიებო სისტემებს, სიმულაციებსა და ვირტუალურ მოდელებს საჭირო ინფორმაციის მისაღებად ან დასაზუსტებლად</p>
<p>3.3. აფასებს ინფორმაციას</p>	<p>განმარტავს რაში გამოიყენებს მოძიებულ ინფორმაციას</p>	<p>განმარტავს თუ რამდენად გამოდგება მის მიერ მოძიებული ინფორმაცია კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად</p>	<p>განმარტავს თუ რატომ შეარჩია კონკრეტული ინფორმაცია</p>	<p>მოცემული კრიტერიუმების მიხედვით აფასებს მოძიებული ინფორმაციის სანდოობას</p>	<p>კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე თავად შეარჩევს კრიტერიუმებს და აფასებს მოძიებული ინფორმაციის სანდოობას</p>	<p>ავითარებს და იყენებს კრიტერიუმებს მოძიებული ინფორმაციის ხარისხის, შესაბამისობისა და ობიექტურობის შესაფასებლად</p>

4. ახალი პროდუქტის შექმნა

<p>4.1. აყალიბებს იდეებს და ადგენს გეგმას</p>	<p>ამოცანის გადაწყვეტისას იყენებს ისტ-ს მარტივად გაწერილი გეგმის განსახორციელებლად</p>	<p>ამოცანის გადაწყვეტისას იყენებს ისტ-ს მარტივი გეგმების შესამუშავებლად</p>	<p>ამოცანის გადაწყვეტისას იყენებს ისტ-ს იდეების ჩამოსაყალიბებლად და გეგმების შესამუშავებლად</p>	<p>ამოცანის გადაწყვეტისას იყენებს ისტ-ს იდეების ჩასაწერად, ნააზრევის წარმოსაჩენად და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად</p>	<p>ამოცანის გადაწყვეტისას იყენებს შესაბამის ისტ ინსტრუმენტს იდეების ერთობლივად შესამუშავებლად და გეგმის სიღრმისეულად დასამუშავებლად/დასახვეწად</p>	<p>ამოცანის გადაწყვეტისას ირჩევს და იყენებს ისტ-ს იდეებისა და ცნებების მკაფიოდ გამოსაკვეთად, კომპლექსური გეგმების შესამუშავებლად/დასახვეწად</p>
<p>4.2. იყენებს ისტ-ს სხვადასხვა სასწავლო ამოცანების გადაჭრისას</p>	<p>ისტ-ის გამოყენებით მარტივი ამოცანის გადასაჭრელად, სხვისი დახმარებით, ირჩევს ინფორმაციის გამოსახვის სასურველ დიზაინს</p>	<p>ისტ-ის გამოყენებით მარტივი ამოცანის გადასაჭრელად დამოუკიდებლად ირჩევს ინფორმაციის გამოსახვის სასურველ დიზაინს</p>	<p>ისტ-ის გამოყენებით სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად ქმნის და ხვეწავს ინფორმაციის გამოსახვის დიზაინს</p>	<p>სპეციფიკური მიზნებისა და აუდიტორიის გათვალისწინებით დამოუკიდებლად ქმნის და ხვეწავს ინფორმაციის გამოსახვის ფორმატსა და დიზაინს</p>	<p>სპეციფიკური მიზნებისა და აუდიტორიის გათვალისწინებით დამოუკიდებლად/თანამშრომლობით ქმნის და ხვეწავს ინფორმაციის წარმოდგენის ფორმატსა და დიზაინს</p>	<p>ქმნის და მართავს კომპლექსური ამოცანის შესაბამის ციფრულ პროდუქტს, მიზნებისა და აუდიტორიიდან გამომდინარე ხვეწავს ინფორმაციის წარმოდგენის ფორმატსა და დიზაინს</p>

5. კომუნიკაცია და თანამშრომლობა

<p>5.1. აცნობიერებს ელექტრონული კომუნიკაციის შესაძლებლობებს</p>	<p>აცნობიერებს, რომ ელექტრონული კომუნიკაციით შესაძლებელია ინფორმაციის გაზიარება/გაცვლა საკლასო ოთახში</p>	<p>აცნობიერებს, რომ ელექტრონული კომუნიკაციით შესაძლებელია შეტყობინებების გაგზავნა/მიღება</p>	<p>აცნობიერებს ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს</p>	<p>აცნობიერებს, რომ ელექტრონული კომუნიკაცია შესაძლებელია მიზნობრივ აუდიტორიასთან</p>	<p>აცნობიერებს ელექტრონული კომუნიკაციის შესაძლებლობებს თანამშრომლობისთვის</p>	<p>აცნობიერებს, რომ ელექტრონულ კომუნიკაციას და თანამშრომლობას აქვს გარკვეული უპირატესობები და ნაკლოვანებები</p>
<p>5.2. თანამშრომლობს, აზიარებს/ცვლის ინფორმაციას</p>	<p>ისტ-ის გამოყენებით ათვალისწინებს მასწავლებლის გამოქვეყნებულ/გაზიარებულ ინფორმაციას. ცვლის/აზიარებს ინფორმაციას საკლასო ოთახში</p>	<p>ისტ-ის გამოყენებით აზიარებს/ცვლის ინფორმაციას ნაცნობ აუდიტორიასთან</p>	<p>იყენებს ციფრულ ინსტრუმენტს, აუდიტორიისთვის ინფორმაციის უსაფრთხოდ გასაზიარებლად/გასაცვლელად</p>	<p>იყენებს ციფრულ ინსტრუმენტს თანამშრომლობითი მუშაობისთვის და აუდიტორიისთვის ინფორმაციის უსაფრთხოდ გასაზიარებლად/გასაცვლელად</p>	<p>ირჩევს და იყენებს ციფრულ ინსტრუმენტს თანამშრომლობითი მუშაობისთვის, როგორც ინდივიდებთან ასევე ჯგუფებთან ინფორმაციის უსაფრთხოდ გასაზიარებლად/გასაცვლელად</p>	<p>ირჩევს და რაციონალურად იყენებს სხვადასხვა ციფრულ ინსტრუმენტს თანამშრომლობითი მუშაობისთვის და ინფორმაციის უსაფრთხოდ გასაზიარებლად/გასაცვლელად</p>